

**"მთავრობამ ისეთი ადეკვატური გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, რაც
უნივერსიტეტის ინტერესებს არ დააზარალებს"**

გაზეთი "მთელი კვირა", 17 ნოემბერი 2014 წელი

"უნივერსიტეტი არაფრით არ შეეგუება მიმდებარე ტერიტორიაზე ისეთი აქტივობებისა და ისეთი ბიზნესის წარმართვას, რაც უნივერსიტეტს არ შეეფერება. ჩვენ ნამდვილად არ ვართ ინიციატორები, რომ სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ, მაგრამ მუდმივად ვიქნებით სადარაჯოზე, რომ უნივერსიტეტის ინტრესები არ შეიღაბოს", – აცხადებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აცადებია კადოკა მასაცა და კაპავა მთელ კვირასთან" ინტერვიუში.

რექტორი ასევე იმ მიღწევებზე საუბრობს, რაც უნივერსიტეტში ძოლო პერიოდში გაკეთდა და იმ სამომავლო გეგმებზე, რაც უახლოეს მომავალში იგეგმება.

"მთელი კვირა": ცოტა ხნის წინ, სტუდენტთა სერიოზული პროტესტი გამოიწვია უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსთან გაზიგასამართი სადგურის მშენებლობამ. რა რეაგირებას აპირებთ?

ლადო პაპავა: უნივერსიტეტი არაფრით არ შეეგუება მიმდებარე ტერიტორიაზე ისეთი აქტივობებისა და ისეთი ბიზნესის წარმართვას, რაც უნივერსიტეტს არ შეეფერება. ჩვენ გაზიგასამართი სადგურის მშენებლობის შესახებ რომ გავიგეთ, მაშინვე გამოვხატეთ პროტესტი – იყო რექტორის, შემდეგ აკადემიური საბჭოს განცხადება უნივერსიტეტის სენატან ერთად, ბუნებრივია, ამას მოჰყვა სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები. ჩვენ ნამდვილად არ ვართ ინიციატორები, რომ სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ, მაგრამ მუდმივად ვიქნებით სადარაჯოზე, რომ უნივერსიტეტის ინტრესები არ შეიღაბოს. სამწუხაროდ, დღემდე არაა მიღებული გადაწყვეტილება, რომ გაზიგასამართი სადგური არ აშენდეს.

შესანიშნავად მესმის იმ ბიზნესმენების, ვინც გარკვეული ინვესტიცია ჩადეს, ამიტომ არ უნდა შეიღახოს არც ბიზნესის ინტერესები და ეს მთავრობის და მერიის გადასაწყვეტია, და არა უნივერსიტეტია. მთავრობას რა ვალდებულებაც აქვს ბიზნესთან მიმართებაში, შეასრულოს იქ, სადაც არ ავნებს უნივერსიტეტს.

მ.კ.: კონკრეტულად ვინ აშენებს გაზგასამართ სადგურს?

ლ.პ.: ვერ გეტჰუიო ვინ აშენებს. ჩვენ საქმე გვაქვს არა კერძო სტრუქტურასთან, ვინც აშენებს, არამედ ქალაქის მერიასთან. მთავრობამ მოახდინა ამ მიწის პრივატიზაცია და ამის უფლება პქონდათ, რადგანაც ეს მიწა უმუალოდ უნივერსიტეტს არ ეკუთვნის, მაგრამ მერიამ გასცა ნებართვა, რომ იქ გაზგასამართი სადგური იყოს. მე ნადვილად არ მაინტერესებს რომელი ფირმა აშენებს, ჩემთვის მთავარია, რომ საკითხი გადაწყვიტოს იმ ორგანომ, ვინც უნივერსიტეტისთვის შეუფერებელი ნებართვა გასცა.

მ.კ.: ასევე უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარევდ კეთდება კერძო სასაფლაო, რა ვითარებაა ამ მხრივ?

ლ.პ.: ამის შესახებ როგორც კი გავიგეთ, მივმართეთ მერიას, ამასაც მოჰყვა სტუდენტთა რეაგირება. ჩვენ გვქონდა პირობა მერიისგან, რომ სექტემბერში ეს საკითხი უნდა დასრულებულიყო და სასაფლაოს თემა უნდა ამოწურულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღიათ.

მ.კ.: თბილისის საკრებულოს მიმართეთ?

ლ.პ.: ყველა თანამდებობის პირთან გვქონდა საუბარი, ვისაც ეს საკითხი მეტ-ნაკლებად ეხება. ვესაუბრეთ მერსაც, ის ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორია და შესანიშნავად ესმის რა პრობლემაა. ვესაუბრეთ ასევე საკრებულოს სხვა წარმომადგენლებსაც, მაგრამ საუბრის მიზანი მხოლოდ აზრების გაცვლა არაა, ჩვენ გვინდა კონკრეტული გადაწყვეტილებები. მაღლივთან სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სპორტულ კომპლექსს აშენებს, ასევე მერიას უნდა ახალგაზრდული ცენტრი გააკეთოს, რაც შესანიშნავია და ჩვენ ასეთ პროექტებს, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭროთ.

მ.კ.: სასაფლაოსთან დაკავშირებით, მეორე მხარესთან თუ გაიარეთ კონსულტაციები?

ლ.პ. არავითარ კონსულტაციებს არ ვაპირებთ. სასაფლაოს ბიზნესის წარმომადგენელი მოვიდა ჩემთან შეხვედრაზე, ოღონდ ისე, რომ არ ვიცოდი, ვინ იყო. მას ჩვენ საკუთარი პოზიცია ვუთხარით, რომ არ ვართ დაინტერესებული საკითხის პოლიტიზირებით, მაგრამ არ შევებულებით, რომ უნივერსიტეტის გეგრდით იყოს სასაფლაო.

მ.პ: ვინ მოვიდა თქვენთან?

ლ.პ.: ნამდვილად არ დამიმახსოვრებია მისი სახელი და გვარი, დაინტერესებულ პირებს ამ ინფორმაციის ნახვა საჯარო რეესტრში შეუძლიათ. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება კონკრეტულად ამა თუ იმ ბიზნესის წარმომადგენელი, არამედ პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ მერიამ და მთავრობამ ისეთი ადგევატური გადაწყვეტილებები მიიღოს, რაც უნივერსიტეტის ინტერესებს არ დააზარალებს.

მ.პ.: ზოგადად, თქვენი რექტორობისას რა არსებითი ცვლილებები განხორციელდა თუ-ში?

ლ.პ.: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყოფსიქოლოგიის მიმართულება, ხოლო პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს – პედაგოგიკა და ჩამოყალიბდა ახალი – ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. რა თქმა უნდა რთული პროცესი იყო, მაგრამ ამ ეტაპზე თითქმის დასრულებულია. ასევე მივიღეთ პრინციპული გადაწყვეტილება, მადლობას ვუხდი მთავრობას მხარდაჭერისთვის, რომ აშშ-ს სანდიეგოს უნივერსიტეტთან ერთად ვაკეთებთ ახალ საინჟინრო სკოლას, რომელიც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაზაზე იქნება. მუშაობა უკვე დაწყებულია და 2015-16 წლიდან დაიწყება მიღება. იქნება 3 მიმართულება: ელექტრული ინჟინერია, ბიოქიმია და კომპიუტერული მეცნიერებები. ახალგაზრდები მიიღებენ 2 დიპლომს – ჩვენი უნივერსიტეტისა და სანდიეგოს დიპლომს.

ასევე, შემოვიღეთ 15 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა. გამოვყოფდი სამაგისტრო პროგრამას – დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია, სადოქტოს – არქიეოლოგია და პალეოანთროპოლოგია. დემოგრაფია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. სამწუხაროდ, 2005 წელს ეს მიმართულება დაიხურა უნივერსიტეტში, ახლა დავაბრუნეთ და უკვე 19 მაგისტრანტი გვყავს.

პირველად საქართველოში შევქმნით, პოსტდოქტორანტურა. ახალი გზებს, ვინც დაიცავს სადოქტორო დისერტაციას და სამეცნიერო მუშაბის გაგრძელების სურვილი გქნებათ, მათ ექნებათ ამის შანსი და კონკურსის წესით შეირჩევიან საუკეთესოები.

ასევე, შემოვიდეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია და შევქმნით მისი სახელობის ფორუმი. ჯავახიშვილის პრემია მიენიჭება უცხოელ მეცნიერეს ქართველოლოგიაში წარმატებისათვის და პირველი ასეთი პრემია უკვა გადავეცით გერმანელ მეცნიერს. ჯავახიშვილის სახელობის ფორუმზე იქნება წარმოდგენილი ფაკულტეტების სამეცნიერო ნაშრომებიდან საუკეთესოები და ყველა მომსხვებელი დაჯილდოვდება. ესაა, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორებისთვის. შემოვიდეთ წლის საუკეთესო პედაგოგის ინსტიტუტი და სტუდენტთა გამოკითხვით, ვირჩევთ საუკეთესო ლექტორს.

ასევე, ბაკალავრებისთვის შემოვიდეთ რექტორის სტიპენდია. კომისია შეარჩევს 1 საუკეთესო სტუდენტს და მას ყოველთვიურად ჩემი ხელფასიდან გადაეცემა 250 ლარი.

გარდა ამისა, დეკანს ფაკულტეტზე პყავდა 2 მოადგილე. ერთი – სასწავლო-სამეცნიერო დარგში და მეორე – საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში. შევცვალეთ და დეკანს პყავს მოადგილე სასწავლო დარგში და სამეცნიერო დარგში, რადგან საფინანსო -ეკონომიკური საქმიანობა ფაკულტეტზე ადეკვატური არაა. ასევე, ამჟამად მზადდება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

მ.კ.: სტუდენტების "ტკივილი" იყო ყოველთვის აკადემიური რეგისტრაცია, ელექტრონული ბაზები და საგნების არჩევა, ამ მიმართულებით რა გაკეთდა?

ლ.პ.: აკადემიური რეგისტრაცია უნივერსიტეტის "აქილევსის ქუსლი" იყო. ეს პრობლემა უკვა გადაწყვეტილია, ამ წლის მარტიდან სტუდენტებს თითქმის არ შემქნიათ სირთულეები რეგისტრაციისას. ჩვენ გავატარეთ გარკვეული საკადრო ცვლილებები, შევიძინეთ ახალი ტექნიკა და ეს საკითხი მოვაგვარეთ.

მ.კ.: აკადემიური საქმიანობის თვალსაზრისით რა ხდება?

ლ.პ.: საგულისხმოა, რომ ამ 1 წლის განმავლობაში 55-მა ადამიანმა კონკურსით დაიკავა აკადემიური თანამდებობა და მათგან 40% ის კადრია, ვინც

სააკაშვილის დროს გაათავისუფლეს, ახლა კი ისინი კონკურსის წესით დაბრუნდნენ.

ასევე, წელს უნივერსიტეტში დაცული იქნა 44 სადოქტორო დისერტაცია და მაღალი დონის საერთაშორისო ურნალებში, დაიბეჭდა უნივერსიტეტიდან 299 სტატია. სასწავლო წლის განმავლობაში ჩვენ 106 სამეცნიერო გრანტი მივიღეთ, საიდანაც 19 საერთაშორისოა. ასევე, უნივერსიტეტში 62 (მათთვე 34 საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.

შევიძინეთ 3 ათასამდე დასახელების წიგნი, 7000-ზე მეტი ეგზემპლარი, მათ შოროს 2300-ზე მეტი უშუალო სახელმძღვანელოა. ვიყიდეთ მაღალი დონის რობოტო-სკანერი, რათა წიგნები გადავიყვანოთ ციფრულ ფორმატში. დავიწყეთ სახელმძღვანელოთა თარგმნის უფლების ყიდვა, 20-მდე ასეთი წიგნის უფლება შევიძინეთ და თარგმნა უკვე დაწყებულია. ფაკულტეტებმა თვითონ შექმნეს მთარგმნელობითი ჯგუფები, გაზაფხულზე უკვე გამოვეცით 1 წიგნი და წლის ბოლომდე კიდევ 4 წიგნის თარგმნა დასრულდება.

გაფართოვდა საერთაშორისო ურთიერთობები, 2013-14 წლებში ევროპის 19 ქვეყანასი 126 სტუდენტი და პროფესორი გაიგზავნა. თვითონ უნივერსიტეტში ჩამოვიდა 80-მდე სტუდენტი, მკვლევარი თუ პროფესორი.

ამერიკის საელჩოს დახმარებით შევქმნით თანამედროვე მულტიმედია ცენტრი, რომელიც ადჭურვილია უნიკალური აპარატურით, ასევე აღიჭურვა მოლეკულური და მექანიკური ფიზიკის ლაბორორია.

მ.კ.: უახლოეს მომავალში რა გეგმები გაქვთ?

ლ.პ.: უახლოეს მომავალში 2 უმნიშვნელოვანების ამოცანა გვაქვს. პირველი, ჩვენ გვაქვს საკმაოდ ძლიერი კადრებით დაკომპლექტებული მედიცინის ფაკულტეტი, მაგრამ პრობლემაა, რომ არ გვაქვს საკუთარი საუნივერსიტეტო პოსიტივური. მთავრობის დახმარებით გადმოგვეცა ყოფილი საავადმყოფოს შენობა, რომლესაც სარემონტო სამოუშაოები სჭირდება და სერიოზულ თანხებთანაა დაკავშირებული. ჩვენ გვაქვს კონსულტაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მერიასთან. ბ-ნ დავით ნარმანიასთან განვიხილეთ კლინიკის ერთობლივად შექმნის შესაძლებლობა, რომელიც იქნება ერთდროულად საუნივერსიტეტოც და მუნიციპალურიც.

მეორე პროგექტია ჩვენი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. 2 შენობა გვაქვს, რომლებიც ჯერჯერობით უნივერსიტეტის ბალანსზე გადმოცემული არაა, რაც გვზღვდავს, რომ სარემონტო სამუშაოები ჩავატაროთ. თუმცა, რემონტი მათ დიდად ვერ უშველის, ამიტომ სერიზული ჩანაფიქრი გვაქვს, რომ დავიწყოთ მაღლივის ტერიტორიაზე ახალი კორპუსის მშენებლობა, რათა სტუდენტებს გარკვეულწილად დავეხმაროთ და გადმოვიყვანოთ იმ კორპუსებიდან, რათა ადამიანურ პირობებში იყვნენ. სადაც ისინი არიან უკიდურესად მძიმე პირობებია.

ასევე ვგეგმავთ, კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს სამეცნიერო კვლევები და გავაფართოვოთ საერთაშორისო თანამშრომლობა. გვაქვს იდეა, რომ გავზარდოთ სამეცნიერო კვლევის სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელი იქნება ყველა პროფესორისთვის.

პრობლემები გვაქვს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან დაკავშირებით, შემოგვივრთდა 14 ინსტიტუტი, რომლების წარმოადგენს იმ ტრადიციულ ინტიტუტებს, რომლითაც გამოირჩეოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შემდეგ მას წართვეს და ამჟამად გადანაწილებულია სხვადასხვა უნივერსიტეტში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ვამჟმავებთ ცვლილებებს კანონში "მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ", სადაც მკაფიოდ უნდა გაიწეროს სტატუსი, შეიქმნას ინსტიტუტების არსებობის სამართლებრივი ბაზა.

ასევე, სავალალოა დაფინანსების თემა. ბოლომდე მისაყვანია იდეა, რომ ინსტიტუტები გადავიდნენ პროგრამულ დაფინანსებაზე და ვიმედოვნებთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გადაწყვეტს ამ პრობლემას.

ასევე ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს ბიუჯეტური დაფინანსება, რადგან სტუდენტის საფასური მდგრადი და სტაბილური განვითარების საშუალებას არ იძლევა. ეს მწვავე პრობლემაა, რადგან ფაკულტეტები სხვადასხვა ხარჯებს მოითხოვს. მაგალითად, იურისტისა და ბიოლოგის მომზადება ერთი და იგივე ხარჯი არ ჯდება, ასევე ექიმის მომზადებაც. ჩვენ წინაშე დგას ამოცანა და გვაქვს მთვარობასთან კონსულტაციები, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს საბიუჯეტო დაფინანსება.

ინტერვიუ აიღო მაია აბაიაძეზ